პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 მარტი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 60 (9151) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





## მოდის ნიჭიერი თაობა

**როგორც გაუწყეთ, გუშინ კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის დარბაზში 1970-1971 წლებში დაბადებულ მოსწავლე-კალათბურთელთა საკავშირო პირველობა დაიწყო. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი ჩაება.**

საკალათბურთო ცენტრებში, ბუნებრივია, რეზერვების მომზადებასაც დიდი ყურადღება ექცევა, ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ ფინალურ ექვსეულში ქვეყნის ცნობილი საკალათბურთო კერების, მოსკოვის, ლიტვის, უკრაინის, რსფსრ-ის წარმომადგენლები მოხვდნენ. ამ „კომპანიაში" ჩვენი სპორტსმენების გამოჩენა უთუოდ იმაში გვარწმუნებს, რომ საქართველოშიც ამ მხრივ სასიკეთო ძვრები შეინიშნება. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს პირველობის მეექვსე მონაწილე — მოლდავეთის გუნდი. ექვსივე კოლექტივმა თბილისში, საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში თამაშის უფლება ზონალურ ტურნირებში გამარჯვებით მოიპოვა.

ვიდრე ასპარეზობის პირველ შედეგებს გაცნობებთ, გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ როგორ ჩატარდა საზეიმო გახსნის ცერემონიალი. რამდენჯერ გაუნელებია უგემოვნოდ მომზადებულ ამ აუცილებელ „პროლოგს" მოასპარეზეთა და მაყურებელთა სიხარული. ამჯერად კი ნამდვილი ზეიმის მოწმენი გავხდით, რაც ორგანიზატორების, რესპუბლიკური სპორტკომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დამსახურებაა.

ასპარეზობაში 15-16 წლის ჭაბუკები მონაწილეობენ, მოკლე ხანში ბევრ მათგანს ალბათ უკვე ოსტატთა გუნდებში ვიხილავთ. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს რომ ნორჩი სპორტსმენები არა მარტო კარგად, საზრიანად თამაშობენ, არამედ ფიზიკური მომზადებითაც გამოირჩევიან. ყველა გუნდში შეხვდებით ორ მეტრზე მეტი სიმაღლის საკმაოდ მოძრავ ყმაწვილებს.

მასპინძელთა და მოსკოველთა შეხვედრაშიც ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ სწორედ ცენტრის მოთამაშეების დუელი გახლდათ. სტუმრები ორივე ფართან აქტიურობდნენ და მალე დაწინაურდნენ კიდეც. ქართველმა ჭაბუკებმა რამდენჯერმე შეცვალეს ტაქტიკა, შორიდან სროლაც სცადეს, პრესინგსაც მიმართეს, მაგრამ თამაში მაინც მოსკოველთა უპირატესობით მიმდინარეობდა. იქნებ იმიტომაც, მასპინძლები ზომაზე მეტად ღელავდნენ და შეცდომებსაც ხშირად უშვებდნენ. პირველი ტაიმი მოსკოველებმა მოიგეს — 38:31.

ჩვენმა გუნდმა „საკუთარ თამაშს" სადღაც მეორე ტაიმის მეორე ნახევარში „მიაგნო" და მალე ანგარიში გათანაბრდა — 56:56. მაგრამ შეხვედრა მაინც ბოლომდე დაძაბულად მიმდინარეობდა. მატჩის ბედი მასპინძელთა ოთხმა ზუსტმა საჯარიმო სროლამ გადაწყვიტა, ისინი დაწინაურდნენ 69:68. მოსკოველთა უკანასკნელი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა და საქართველოს გუნდმა პირველი გამარჯვება მოიპოვა.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: მოლდავეთი — უკრაინა 84:69 (47:30), რსფსრ — ლიტვა — 100:91 (50:42).

დღეს მატჩები 16 საათზე დაიწყება.

## ლერი ხაბელოვსა და დავით გობეჯიშვილს — მსოფლიო თასი

**ტოლიდო (ოჰაიოს შტატი).** როგორც ვიუწყებოდით საბჭოთა ათლეტებმა აშშ-ს ამ ქალაქის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასი მოიპოვეს.

რამდენიმე დამატებითი ცნობა ამ ტურნირის შესახებ. მსოფლიო თასი წლეულს მეთოთხმეტედ ჩატარდა. საბჭოთა მოჭიდავეები საპატიო ჯილდოს მეთორმეტედ დაეუფლნენ. ჩვენმა ნაკრებმა კუბის გუნდი ანგარიშით 9:1 დაამარცხა, ეგვიპტის, ავსტრალიისა და მონღოლეთის ათლეტებს კი ერთნაირი ანგარიშით — 10:0 აჯობა.

ფინალში ერთმანეთს სსრ კავშირისა და აშშ-ს მოჭიდავეები შეხვდნენ. მასპინძლებმა მანამდე მონღოლეთის (7:3), კუბის (9:1), ეგვიპტისა (10:0) და ავსტრალიის (10:0) წარმომადგენლები დაამარცხეს. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ფრედ — 5:5 დამთავრდა, მაგრამ საპატიო ჯილდო საბჭოთა მოჭიდავეებს მიეკუთვნათ, რომლებსაც უფრო მეტი პირადი გამარჯვება ჰქონდათ (საბჭოთა კავშირის ათლეტებს — 44, ამერიკელებს — 41).

გამარჯვებული გუნდის ღირსებას ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში გამოცდილი ათლეტები იცავდნენ, ისეთები როგორიც არიან: ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ს. ბელოგლაზოვი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ა. ფაძაევი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ვ. ალექსეევი, ევროპის ჩემპიონები ა. პალამარიოვი და ი. ვორობიოვი. ყველა ისინი, აგრეთვე ო. ეფენდიევი და ვ. მოდოსიანი ამერიკელ სპორტსმენებთან ადრეც არიან შეხვედრილი. აი, ს. კრამჩიკოვს და ვ. ტოგუზოვს კი ამ რანგის ტურნირში პირველად მოუხდათ გამოსვლა.

MEXICO86

## სსრ კავშირი—ინგლისი

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

მატჩი დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით — 1:0.

## 6 აპრილი ჯანმრთელობის დღეა

## ყველამ თავისი სიტყვა უნდა თქვას

ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი, გამოაჯანმრთელა და კვლავ ცხოვრების ფერხულში ჩააბა გამაჯანსაღებელმა ფიზკულტურამ და სპორტმა. მართალია, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების რიცხვი თანდათან მატულობს, მაგრამ რესპუბლიკაში არსებულ სპორტულ ნაგებობებს, საცხოვრებელ ადგილებში განლაგებულ მარტივი ტიპის სპორტულ მოედნებს სათანადოდ მაინც ვერ ვიყენებთ — იშვიათად ვხედავთ სტადიონისა და პარკის ბილიკებზე სავარჯიშოდ გამოსულ ხალხს, იშვიათად ეწყობა კოლექტიური ტურისტული ლაშქრობები, მასობრივი კროსები და სხვა.

იმ მიზნით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობა საყოველთაო გახდეს, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ საქართველოს სპორტკომიტეტმა მიიღო დადგენილება „ჯანმრთელობის დღის" ჩატარების შესახებ.

სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავს მასობრივი ფიზკულტურის, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟების დღე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში 6 აპრილს გაიმართება.

როგორი იქნება ეს დღე, რომელიც სამუდამოდ უნდა დაამახსოვრდეს ყველა მოქალაქეს და რომელიც მათ ფიზკულტურასა და სპორტთან დაამეგობრებს?

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, პარკებსა და ბაღებში, სპორტულ ბაზებზე, დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, საცხოვრებელ ადგილებში მდებარე სპორტულ მოედნებზე, დილიდანვე შეიკრიბებიან სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები: გაიმართება ეროვნული თამაშობები, მოჭიდავეთა, ცხენოსანთა, ფეხბურთელთა ასპარეზობები. საპაექრო გამოვლენ მთელი ოჯახებით: შეჯიბრება მოეწყობა ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევაში, მიზანში ზუსტად სროლაში. ჩატარდება მძლეოსნური კროსები, მოცურავეთა, ველოსიპედისტთა ასპარეზობა და ა. შ.

ამ ღონისძიებების სანიმუშოდ ჩატარებისათვის დიდი და სერიოზული მუშაობა მოუწევთ რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების სპორტულ საზოგადოებებს, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურის ორგანიზაციების აქტივს. აქ თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან პარტიის რაიკომებმა, ალმასკომებმა, ყველამ, ვინც საქმით იბრძვის პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის.

ჭადრაკი

## 46-ე ტრადიციული...

**გუშინწინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მონაწილეებმა XI ტურის შეხვედრები გამართეს.

გ. გიორგაძემ მოუგო თორიას, ტყებუჩავამ — სუპატაშვილს, კრასენკოვმა — ეფიმოვს, ჭიპაშვილმა — ბოკუჩავას. ყაიმზე შეთანხმდნენ ჩაჩიბაია — ბალათუროვი და უბილავა — იოსელიანი

**გუშინ XII ტურში სუპატაშვილმა მოუგო უბილავას, ჭიპაშვილმა — იოსელიანს, კრასენკოვმა — გიორგაძეს, ბალათუროვმა — ეფიმოვს და ჩაჩიბაიამ — ჩიქოვანს.**

**12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ე. უბილავა, მ. კრასენკოვი — 8-8 ქულა, გ. გიორგაძე, გ. ბალათუროვი — 7,5-7,5.**

ხვალ, 28 მარტს გაიმართება დასკვნითი, XIII ტურის შეხვედრები.

გრძელდება ზაფხულის სპორტული სეზონისათვის საცხოვრებელ ადგილებში სპორტული ბაზების მზადყოფნის დათვალიერება

**საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოსა და „ლელოს" წარმომადგენლებმა ამჯერად ის სპორტული ობიექტები მოინახულეს, რომლებიც თბილისში, მშვიდობის გამზირის, ვაჟა-ფშაველას პროსპექტისა და პავლოვის ქუჩის მაცხოვრებლებს, ძირითადად მოზარდებს ემსახურება.**

ლახტის წრეში

# ამასაც მოედნები ჰქვია?..

ბავშვთა ხელბურთის მოედანი „ენძელა" მშვიდობის გამზირზე (№ 7). იგი შემოღობილია და კარგადაცაა მოვლილი, აქ ბავშვებიც ხშირად იყრიან თავს, ოღონდ ეგაა, ხელბურთის მახწავლებელი არავინაა და ნორჩები მეტწილად ფეხბურთს თამაშობენ. „ენძელას" მოპირდაპირე მხარეს, მოედანზე („მეტეორი", მშვიდობის გამზირი, 14), სრული უწესრიგობაა. კალათბურთის ერთი ფარი „დამოკლეს მახვილივითაა" და საფრთხეს უქმნის ბავშვებს, მეორე ფარი კი მოღრეცილია. სამი მხრიდან ღობეც მორღვეულია. იმავე გამზირზე (№ 18) მდებარე სპორტული მოედანი „აისი" ასევე მოუვლელია. დამპროექტებლებს ორიგინალობა გამოუჩენიათ და... რომბისებური მოედანი გაუშენებიათ. ჩვენ ვთხოვთ 75-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ხელმძღვანელობას, პირადად კანტორის უფროსს ვახტანგ წიქლაურს თუ მოედნის „გასწორება" არ შეიძლება, მრავალ ადგილას მორღვეული ღობე მაინც აღადგინონ, კალათბურთის მოყანყალებული ფარები გაამაგრონ.



▲ გასაკვირი არაა რატომ შეაქციეს ზურგი თავიანთ საყვარელ მოედანს ბავშვებმა. კიდევ რამდენ ხანს იქნება გადათხრილი ეს მოედანი? ვეკითხებით 81-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს ზურაბ მაისურაძეს.

ვაჟა ფშაველას გამზირზე (№ 8) სპორტულ მოედან „გვირილაზე" (76-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბანი, უფროსი ზაქარია ბაბუთიძე) ადრე კალათბურთის ფარებიც ყოფილა, მაგრამ ძირში „მოუხერხებიათ" — ფეხბურთის თამაშს შეუშლიხო. საკვირველია, რატომ ვერავინ მოიფიქრა, რომ კალათბურთის დგარი მოედნის გარეთ გაეტანათ ისე, რომ ფარი მოედანზე შესულიყო? თვალი მაინც მოევლოთ იქვე, ყურისძირში, პავლოვის ქუჩაზე მდებარე სპორტულ მოედან „დელისისთვის" — დელისელებს რკინის კონსტრუქცია მოხერხებულად გაუტანიათ გარეთ და ფეხბურთის მოყვარულებსაც არ ეშლებათ ხელი.

როცა საცხოვრებელ კვარტალში თითო-ოროლა სპორტული მოედანია, ალბათ, უნდა ვეცადოთ უნივერსალური გავხადოთ ისინი, ბავშვებს ხომ ფეხბურთის და კალათბურთის გარდა სპორტის სხვა სახეობებიც იზიდავს.

ვაჟა ფშაველას გამზირის № 39-ის ეზოშია კალათბურთის მოედანი



▲ ასეთ ფარქვეშ მართლაც სახიფათოა კალათბურთის თამაში.

როგორც ხედავთ, არც ეს მოედანი გამოიყურება გულგასახარად (ორივე მოედანი ეკუთვნის 75-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბანს, უფროსი ვახტანგ წიქლაური). ▶

„ქარიშხალა" (81-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბანი, უფროსი ზურაბ მაისურაძე) პატარა ბავშვები მოედნის შესასვლელთან ჩამომსხდარიყვნენ და გულდინჯად საუბრობდნენ. მათ უკან ღობის გაყოლებაზე ნახევრად ამოვსებული თხრილი, უფრო უკან კი ბორცვად აღმართული მიწა მოჩანდა. ღობე, ერთ მხარეს იყო გადახრილი.

დაგვინახეს თუ არა, რამდენიმე მაცხოვრებელი ჩვენსკენ გამოეშურა. ვინაობა რომ გაიგეს, თქვეს: ღმერთო გიშველით, ჩვენ თვითონ ვაპირებდით რედაქციაში მოსვლასო.

როგორც გამოირკვა, ამ ერთი თვის წინათ, აქ მოედანზე გამავალი თბოქსელის ტრასის მილი გამსკდარა. ხელოსნებს რაც მართალია, მართალია, კარგად უმუშავიათ — ოპერატიულად შეუკეთებიათ მილი, მიწაც სასწრაფოდ მოუყრიათ და წასულან. მეორე დღესაც უჩვეულო გულმოდგინება გამოუჩენიათ — მავთულის ბადის ლობეები მოუტანიათ, რომ ძველი გამოეცვალათ. მესამე დღეს კი თვითმცლელზე დაუტვირთვიათ და ლობეები უკან წაუღიათ. სად წაიღეს, ვინ წაიღო და რატომ?

კალათბურთის მოედანი „შუქურა" (პავლოვის №18, 81-ე უბანი) გარდა კალათბურთისა, ჩოგბურთის მოყვარულებსაც ემსახურება. მაგრამ გაუგებარია როგორ თამაშობენ აქ კალათბურთს, როცა ერთ დგარზე ფარი ჩამოგლეჯილია?

რეიდი გრძელდება.



# შაბათს და კვირას

## გიწვევთ თბილისის სპორტული ბაზები

**სპორტკომბინატი „დინამო".** კვირას 8-დან 14 საათამდე მოემსახურება ცურვის მოყვარულებს. თან უნდა იქონიოთ ჯანმრთელობის ცნობა. იმავე დღეს 10-დან 13 საათამდე შეგიძლიათ ეწვიოთ **საჩოგბურთო კორტებს** (ვაზისუბანი, მე-4 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი, მე-15 კორპუსი).

**„თბილგვირაბმშენის" სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი** (ხუდადოვის ქუჩა, რესის დასახლება). შაბათს, 10 საათიდან 16 საათამდე, კვირას მთელი დღის განმავლობაში უსასყიდლოდ უთმობს მოსახლეობას სპორტულ ბაზებს და ინვენტარს. შეგიძლიათ ისარგებლოთ საკუთარი სპორტული ინვენტარითაც. გარდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისა, ჩატარდება შეჯიბრებები, გათამაშდება პრიზები.

სპორტსაზოგადოება „განთიადის" თბილისის საქალაქო საბჭო მოსახლეობას შაბათს და კვირას იწვევს მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. **ქარხანა „ელექტროაპარატის" სპორტულ დარბაზში** (მაგნიტოგორსკის ქ. №8) ფრენბურთი — შაბათს 13 საათიდან. იმავე დღეს **სპორტკლუბ „ივერიის" სპორტულ ბაზაზე** (მორცხულავას ქ. №5). მინი-ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი — 11 საათიდან. ასევე მინი-ფეხბურთში კვირას, **წერეთლის ქ. №57-ში ეზოს სპორტულ მოედანზე** მიკრორაიონის ფეხბურთის მოყვარულთათვის მოეწყობა შეჯიბრებები კორპუსების გუნდებს შორის.

**ყურადღება! რედაქციაში შემოდის მშრომელთა წერილები რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, გვთხოვენ გავაფართოვოთ ჩვენი „ცნობათა ბიუროს" გეოგრაფია. ყურადსაღები წინადადებაა! რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების, სპორტული ბაზების ხელმძღვანელებს ვთხოვთ, ყოველი კვირის ოთხშაბათამდე, მოგვაწოდონ ცნობები შაბათს და კვირას სად, რა ღონისძიებები ჩატარდება უშუალოდ მოსახლეობისათვის. (შეგიძლიათ მოგვაწოდოთ სტაბილური კალენდარი წლის გარკვეული პერიოდისათვის). ველით თქვენს გამოხმაურებას.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**გაზეთ** „ლელოს" 1985 წლის 3 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში **„წინსვლას" წინსვლა არ ეტყობა"** მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. კელასურის კოლმეურნეობას არ აქვს სპორტული მოედანი და ახალგაზრდები მოკლებული არიან სპორტის სიკეთეს. გაცნობებთ, რომ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენს მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა — განთავისუფლდა კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნ. კოპალიანი. კოლმეურნეობის გამგეობის საგანგებოდ მოწვეულ სხდომაზე გადაწყდა სოფელში მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი

### „წინსვლას" წინსვლა არ ეტყობა"

(ადგილი უკვე შეირჩა და მოსწორდა).

სხდომამ ფიზკულტურის მეთოდისტს დ. ბენდელიანს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და მასვე დაევალა უხელმძღვანელოს სპორტული მოედნის მოწყობას.

**თ. ჯაჯელავა,**
**სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის კოლმეურნეობა „წინსვლის" გამგეობის თავმჯდომარე.**

**ა. კოპალიანი,**
**პარტბიუროს მდივანი.**

დღეს თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე, 16 საათსა და 30 წუთზე საზეიმოდ გაიხსნება უმაღლესი ლიგის რეგბისტთა 23-ე საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტური. (საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ მოსკოვის „სლავა", კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი", ლენინგრადის „პრომორეცი" და ლვოვის „სოკოლი". მათთან ერთად ასპარეზზე გამოვლენ მასპინძლებიც — თბილისის „ლოკომოტივი" და ქუთაისის „მშენებელი". ასე რომ, ქართველ გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ სეზონის დასაწყისში ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდის თამაში იხილონ (ლიგის მეორე ქვესული: სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტები, კიევის „ავიატორი", მოსკოვის გუნდები „ფილი" და „ლოკომოტივი", ალმა-ათის ასკ და ტირასპოლის „ელექტრომაში" ასეთსავე ტურს ყაზახეთის ქალაქ კენტაუში ჩაატარებენ).



ჩემპიონატის საზეიმო გახსნამდე, 14 საათსა და 30 წუთზე გაიმართება „მშენებლისა" და „სოკოლის" მატჩი, ხოლო ცერემონიალის შემდეგ, 17 საათზე „ლოკომოტივი" შეხვდება „სლავას". გაგაცნობთ ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შეხვედრების განრიგს („მშენებელიც" და „ლოკომოტივიც" ყველა მატჩს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე თამაშობენ). 29 მარტი. „მშენებელი" — „სლავა". დასაწყისი 14 საათზე; „ლოკომოტივი" — „პრომორეცი" — 16.00. 31 მარტი. „ლოკომოტივი" — „მშენებელი" — 17.00. 2 აპრილი. „მშენებელი" — „ექსკავატორტიაჟსტროი" — 15.00; „ლოკომოტივი" — „სოკოლი" — 17.00. 4 აპრილი. „მშენებელი" — „პრომორეცი" — 15.00; „ლოკომოტივი" — „ექსკავატორტიაჟსტროი" — 17.00.

**უმაღლესი ლიგის რეგბისტთა 23-ე საკავშირო ჩემპიონატი**

# სეზონის პირველი მატჩები

**ტურის** დაწყების წინ ჩვენი კორესპონდენტი გაბრიელ ბარჯაძე ესაუბრა ქართველ რეგბისტთა გუნდების მწვრთნელებს ალიოშა ალავიძეს და თემურ ბენდიაშვილს.

— წლევანდელი ჩემპიონატისთვის მზადება იანვარში დავიწყეთ, — თქვა საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა (1984 წ.) და ბრინჯაოს (1985 წ.) მედალოსნების, ქუთაისის „მშენებლის" რეგბისტების ხელმძღვანელმა **ა. ალავიძემ**. — თებერვალში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ თბილისში, შემდეგ საწვრთნელი შეკრება გავმართეთ ეშერის ოლიმპიურ ბაზაზე, 15 მარტიდან კი კვლავ ქუთაისში დავბრუნდით და იქ გავაგრძელეთ სამზადისი. ჩემპიონატის დაწყების წინ ბიჭები საბრძოლო ფორმაში არიან. განსაკუთრებით კარგად გამოიყურებიან თავდასხმის ხაზის მოთამაშეები.

სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრები ნუგზარ ძაგნიძე და მამუკა ლოსაბერიძე. ისინი ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის ღირსებას დაიცავენ. თამაზ ფხაკაძე, დავით დანგაძე და კახაბერ გაბრიჭიძე ტაშკენტის არმიის სპორტული კლუბის რეგბისტთა გუნდში ითამაშებენ. ჯარში გაიწვიეს აგრეთვე ზაზა თხელიძეც.

„მშენებელი" ქუთაისში აღზრდილი ახალგაზრდა მოთამაშეებით შევავსეთ. ესენი არიან პაატა ძოწენიძე, მამუკა ჩიტიანი, ემზარ შანიძე და გოჩა ჯომშელეიშვილი. ვეცდებით არ გავაწბილოთ ქართველი გულშემატკივრები. ამ ბოლო დროს ხომ ჩვენგან ყველა წარმატებას ელის.

**თ. ბენდიაშვილი** (თბილისის „ლოკომოტივი", გუნდი საკავშირო ჩემპიონატების ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორია, 1978 წელს თასსაც დაეუფლა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ლოკომოტივი" ერთადერთი საბჭოთა გუნდი, რომელიც 1966 წლის ომისშემდგომი პირველი ჩემპიონატიდან დღემდე უცვლელად ასპარეზობს უმაღლეს ლიგაში, ბოლო დროს ერთობ წარუმატებლად თამაშობს): — პირველი შეკრება შარშან, დეკემბერს ლესელიძეში მოვაწყეთ. იანვრიდან თბილისის სპორტულ დარბაზებში გადავინაცვლეთ, თებერვლის დასაწყისში მოსკოვში, ტრადიციულ ზამთრის საკავშირო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გავემგზავრეთ და წარმატებითაც გამოვედით. შემდეგ ისევ თბილისსა და ლესელიძეს დავუბრუნდით. ჩავატარეთ რამდენიმე საწვრთნელი მატჩი, თუმცა, სამწუხაროდ, იმდენი ვერა, უმაღლესი ლიგის სხვა გუნდები რომ ატარებენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, შარშანდელთან შედარებით წელს უკეთ ვართ მომზადებული და უკეთესადაც ვიასპარეზებთ.

„ლოკომოტივის" შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა: გუნდიდან წავიდა კოტე ჭილაია, შემოგვემატნენ ახალგაზრდა ქუთაისელი რეგბისტები რომან მამულაშვილი და ნუგზარ ტყაბლაძე. „შევარდენის" შერკინების ნახევარმცველი ნუგზარ გაბრიჭიძეც წელს ჩვენს გუნდში ითამაშებს. ახალგაზრდა რეგბისტებს ჩემპიონატის ძნელ გზაზე კვლავ გამოცდილი რეგბისტები: მიხეილ ხარშილაძე, ავთანდილ ლიბრაძე, მალხაზ ჭეიშვილი და სხვები გაუძღვებიან. ეგაა, რომ მოთამაშეთა ტრავმები გვაფიქრებს. თბილისის ტურის მატჩებში ტრავმების გამო ჩვენი ოთხი რეგბისტი ვერ შეძლებს გამოსვლას.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# ისევ არასტაბილურად თამაშობს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები.

**კაუნასი.** ლიდერმა — მოსკოვის არმიელებმა სატურნირო ცხრილში ორი ქულა ჩაიწერეს, თუმცა ამჯერად მათი გამარჯვება არც ისე დამაჯერებელი იყო. კრასნოდარის სკიფ-მა მთელი შეხვედრის მანძილზე მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და მხოლოდ მატჩის მიწურულში დათმო ინიციატივა — არმიელებმა 2 ქულის სხვაობით (25:23) გაიმარჯვეს.

გაცილებით უფრო დამაჯერებლად თამაშობდნენ ტურის მასპინძლები — „გრანიტასის" ხელბურთელები, რომლებმაც ჩელიაბინსკის „პოლიოტს" წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს — 37:25.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებისგან „კუნცევოსთან" შეხვედრაში გაცილებით მეტს მოველოდით. მაგრამ ამ ტურის მატჩებს ჩვენი გუნდი ერთობ არასტაბილურად ატარებს. ყოველ შემთხვევაში აუტსაიდერთან დამარცხებას და ისიც 8 ქულით (19:27) არავინ ელოდა.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| ცსკა | 15 | 25 |
| „გრანიტასი" (კაუნ.) | 15 | 21 |
| „პოლიოტი" (ჩელ.) | 15 | 17 |
| სპი (თბილისი) | 15 | 16 |
| სკიფ (კრასნოდარი) | 15 | 13 |
| „კუნცევო" (მოსკ.) | 15 | 6 |

**მინსკი.** ტურის ლიდერმა მინსკის არმიელებმა ამჯერადაც გამოიჩინეს თავი — ლენინგრადის „ნევა" ანგარიშით 28:23 დაამარცხეს. გაცილებით უფრო შეუპოვარი იყო კიევის არმიელთა და ასტრახანის „ზარის" შეხვედრა. უკრაინელმა ხელბურთელებმა 1 ქულით გაიმარჯვეს — 25:24. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ზაპოროჟიეს „ზიი-ს" ორთაბრძოლა ფრედ — 23:23 დამთავრდა.

**გათამაშების ცხრილი**

| | | |
|---|---|---|
| სკა (მინსკი) | 15 | 26 |
| მაი | 15 | 20 |
| „ზიი" (ზაპოროჟ.) | 15 | 14 |
| „ზარია" (ასტრ.) | 15 | 10 |
| სკა (კიევი) | 15 | 8 |
| „ნევა" (ლენ.) | 15 | 4 |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

20 და 23 მარტს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის კალენდარული მატჩები. გთავაზობთ მათ სტატისტიკურ მონაცემებს.

**„ზენიტი" — „ჩერნომორეცი" 0:1 (0:0).** მასპინძელთა კარში ერთადერთი ბურთი გაიტანა პასულკომ. გააფრთხილეს ოდესელი ფეხბურთელი პერეპადენკო.

დუბლიორები — 1:1.

**„შახტიორი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:0 (0:0).** გოლი 66-ე წუთზე გაიტანა პეტროვმა.

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო" (კიევი) — „ნეფთჩი" 1:1 (0:0).** ანგარიში ბაქოელმა ახმედოვმა გახსნა 70-ე წუთზე, 7 წუთის შემდეგ მიხაილიჩენკომ თანაფარდობა აღადგინა.

გააფრთხილეს „ნეფთჩის" ფეხბურთელი ფედოროვიჩი.

დუბლიორები — 4:1.

**„მეტალისტი" — „სპარტაკი" 0:0.** ხარკოველმა ტარასოვმა 73-ე წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი (ბურთი ძელს მოხვდა).

გააფრთხილეს „მეტალისტის" ფეხბურთელი სუსლო.

მატჩი იმსჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ე. მამიონიშვილი, შ. ხანიშვილი, ი. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:0.

**„დინამო" (მინსკი) — „არარატი" 0:0.** მინსკელთა ეს კალენდარული შეხვედრა კვლავ ბრესტში გაიმართა.

გააფრთხილეს ტრუხანი („დინამო") და გ. კარაპეტიანი („არარატი").

დუბლიორები — 0:0.

**„ჟალგირისი" — „დნეპრი" 0:0.** გააფრთხილეს „დნეპრის" მთავარი ჩერედნიკი.

დუბლიორები — 1:2.

⊙ **49-ე ჩემპიონატში** ჯერ კიდევ ძალზე დაბალია სეზონი შედეგიანობა. I ტურში სულ გატანილი იქნა 14 ბურთი, მეორეში 12, მესამეში — 19 და ბოლოს, IV ტურში — მხოლოდ 7. სულ უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელებმა 32 მატჩში 52 ბურთი გაიტანეს, რაც საშუალოდ 1,62 გოლს უდრის ყოველ თამაშში.

⊙ **ბომბარდირთა** სიას ლიდერობენ მოსკოვის დინამოელი ს. ხტიკაშვილი და ბაქოელი მ. ახმედოვი — 3-3 გოლი, 2 ბურთი აქვს გატანილი თბილისის „დინამოს" ფორვარდ რ. ჩელებაძეს.

⊙ **ჩემპიონატის** 16 მონაწილედან დაუმარცხებლად იბრძვის მხოლოდ ორი გუნდი — კიევისა და თბილისის დინამოელები.

⊙ **საზოგადოება** ფეხბურთელთა დარღვევების რაოდენობაზე. მარტო ბოლო ტურში ექვსმა მოთამაშემ დაიმსახურა ყვითელი ბარათი.

⊙ **ჩვენ** უკვე აწერილით თბილისისა და მინსკის დინამოელთა მატჩში მომხდარ ინციდენტზე. კერძოდ, მინსკელთა ფეხბურთელი ზ. ირ... და ...ზე. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გადაწყვიტა თავის შემდგომ სხდომაზე განიხილოს წერილი დარღვევის ეს საქციელი უმუალოდ ვ. არზამასცევის, ი. ქეკალის, მატჩის არბიტრის ა. კირილოვისა და მატჩის ინსპექტორის ვ. ლოკშინის თანდასწრებით.

• • •

ჩემპიონატის შემდეგი, V ტურის მატჩები გაიმართება 29 და 30 მარტს.

თბილისის დინამოელები შაბათს შინ მიიღებენ დონეცკის „შახტიორს". ამავე დღეს ითამაშებენ „დნეპრი" — „დინამო" (მინსკი), „ჩერნომორეცი" — „დინამო" (კიევი), „სპარტაკი" — „ჟალგირისი", „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „ნეფთჩი" — „ზენიტი".

30 მარტს ქუთაისის ტორპედოელები ხარკოვის „მეტალისტს" უმასპინძლებენ, „არარატი" კი „ჟალგირისს" მიიღებს.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 27 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 4 | 3 | 1 | 0 | 13-4 | 7 |
| „დნეპრი" | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| „დინამო" თბ. | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 6 |
| „ტორპედო" მ. | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 5 |
| „დინამო" კ. | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 5 |
| „შახტიორი" | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 5 |
| „დინამო" მნ. | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 5 |
| „ნეფთჩი" | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 4 |
| „ჟალგირისი" | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 3 |
| „დინამო" მ. | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| „ჩერნომორეცი" | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 3 |
| „ზენიტი" | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 3 |
| „არარატი" | 4 | 1 | 1 | 2 | 1-4 | 3 |
| „ჟალგირისი" | 4 | 1 | 0 | 3 | 6-10 | 2 |
| „მეტალისტი" | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| „ტორპედო" ქ. | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

# ტიტული შეინარჩუნა

**მოსკოვი.** როგორც ვიუწყებოდით, კაუნასის „ჟალგირისმა" უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე სუპერფინალური მატჩი მოსკოვის არმიელებს ანგარიშით 67:59 (39:30) მოუგო და ოქროს მედლები მოიპოვა. ცსკა-ს წელსაც ვერცხლის მედლები ხვდა. შეგახსენებთ, რომ სუპერფინალის პირველ შეხვედრა კაუნასში „ჟალგირისმა" მოიგო (69:62), მეორე მატჩში კი უპირატესობა მოსკოველთა მხარეს იყო — 71:64.

მატჩის შემდეგ „ჟალგირისის" კაპიტანმა ა. საბონისმა განაცხადა: „პირველ მატჩში მოწინავე წარმატების შემდეგ დარწმუნებული ვიყავით, რომ მეორე შეხვედრასაც მოვიგებდით, მაგრამ მოსკოვში თამაში ვერ გამოვიყვანეთ. ვფიქრობ, უხეში ტაქტიკური შეცდომები დავუშვით. მესამე შეხვედრისთვის თამაში ერთგვარი კორექტივები შევიტანეთ, და მაინც, მატჩის პირველი წუთები ჩვენი დაძაბული გამოდგა. ჩვენ უფრო ადრე მოვერიეთ გუნდს და ბრძოლის ბედიც ამან გადაწყვიტა. ახლა მთავარია ევროსლავიის „ციბონასთან" ვითამაშოთ კარგად".

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ შეხვედრა იუგოსლავიელებთან „ჟალგირისი" ბუდაპეშტში 3 აპრილს გამართავს.

# კორაჩის თასი „ბანკო დი რომას"

**კორაჩის** თასის ფინალური მატჩი, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: „ბანკო დი რომამ", რომელიც წარმატებლად გამოდის იტალიის ჩემპიონატში, დაამარცხა ერთ-ერთი ლიდერი კალათის „მობილგირგი", არამედ, ამ გუნდს მომთხოვლებელი უმრავლესობა ფაქიზად მოიხსენიებ „ბანკო დი რომის" კალათბურთელთა უპირატესობა უკვე პირველ ტაიმში გამოიკვეთა — 45:33. მათ მეორე ტაიმში შესძლეს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და გაიმარჯვეს — 84:78. შეგახსენებთ, რომ „ბანკო დი რომა" 1984 წელს ევროპის ჩემპიონთა თასს და საკონტინენტთაშორისო თასს ფლობდა, ამჯერად კიდევ ერთი პრესტიჟული შეჯიბრება მოიგო.

# მსოფლიო რეკორდსმენის დაბრუნება

**მოციურავეთა** მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, წლეულს მადრიდში (ავგისტო) გაიმართება. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს ცნობილ კანადელ მოცურავეს, ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ალექს ბაუმანს, რომელიც კომპლექსურ ცურვაში ახლოს გამარჯვების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

⊙ **თქვენ თითქმის ერთი წელია შეჯიბრებებში არ გამოსულხართ. რამ გამოიწვია ასეთი ხანგრძლივი ტაიმ-აუტი?**

— ოლიმპიური თამაშების შემდეგ პირადი საქმეებით ვიყავი დაკავებული, ხელი მოვაწერე რამდენიმე ხელსაყრელ კომერციულ კონტრაქტს. ახლა დრო მივიდა მაქვს და სურვილი გამიჩნდა საყვარელ სპორტს დავუბრუნდე.

⊙ **ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი გვარწმუნებდა, თითქოს თქვენ დამხვეჭილი იყავით.**

— ეს ცნობა, სხვათა შორის, მეც წავიკითხე. გამიკვირდა, ნეტავი გაზეთებისა საიდან გამოხნებიე ხოლმე თქვენი კოლეგები ასეთ ცნობებს.

⊙ **მას შემდეგ, რაც ვარჯიში განაახლეთ, რომელ შეჯიბრებაში სცადეთ ძალა?**

— ამ ცოტა ხნის წინ ბონში გამართულ „ცურვის საერთაშორისო ფესტივალში" გამოვედი და ორ დისტანციაზე გავიმარჯვე. შედეგებითაც კმაყოფილი ვარ.

⊙ **როგორ ფიქრობთ, ადვილი იქნება მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება?**

— მადრიდის ჩემპიონატში რომ ოქროს მედლები მივიღო, ჩემი ღრმა რწმენით, მსოფლიოს რეკორდები უნდა გავრიდეს დამყარებული. ახლა თავად განსაჯეთ ადვილი იქნება თუ არა ასეთ ჩემპიონატზე წარმატების მოპოვება.

⊙ **ხანამ პირად საქმეებს აგვარებდით, ძალთა შეფარდება ხომ არ შეცვლილა თქვენს სახიფათო?**

— როცა ერთ ადგილზე დგახარ, თუნდაც მცირე ხნით, კონკურენტებს დაწევის საშუალებას აძლევ. კარგად თუ არ გავისწრებ, ყოველ შემთხვევაში, შევეცდები დაკარგული, რაც შეიძლება მოკლე დროში აღვინაზღაურო.

⊙ **მალე 22 წელი შეგისრულდებათ. სპეციალისტების შეცვლას ხომ არ ფიქრობთ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი აზრი ზოგჯერ მომსვლია კიდეც, მაგრამ უახლოეს მომავალში, ყოველ შემთხვევაში მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატამდე, ჩემს საყვარელ დისტანციებს არ გვილატობ. სხვა თუ არაფერი, მსოფლიო რეკორდები 200 და 400 მეტრზე მაქვს დამყარებული და თავის ...

## კალეიდოსკოპი

### იმედის სამკუთხედი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი პროფესიონალ სპორტსმენებს „მწვანე შუქს" უნთებს — მსადაა სულისა და კალდარის სარბილი უსიტყვოდ დაუთმოს. ამ გადაწყვეტილების დასაკავშირებლად ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ისინი ფიქრობენ, რომ სოკ-ი სამოყვარულო სპორტს აშკარად ღალატობს.

ბუფო-ის გაზეთები პირდაპირ აღნიშნავენ: ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც სამოყვარულო და პროფესიული სპორტი სხვადასხვაგვარად ვითარდება და მათი ხელოვნურად შერწყმა შეუძლებელია, ვინაიდან აქ ყველაფერი განსხვავებულია — სპორტსმენთა ხასიათები, თავად სპორტის წესები და კანონებიც.

ცბა-ს საავენტო ცნობით, სოკ-ის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის იმედები მიშელ პლატინის, უეინ გრეტცკისა და ბორის ბეკერის პოპულარობას ემყარება.

ეს სამკუთხედი პროფესიონალურ სპორტში მართლაც დიდი ავტორიტეტია და მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ კაცმა არ იცის საკმარისი იქნება თუ არა იგი ოლიმპიური იდეალების დაცვისთვის. ამჯერად ერთი რამ — სამოყვარულო სპორტი და მისი მოღვაწეობა მიმდევარი სოკ-ი წინაღდებას მტრულად შეხვდა.

### ინტერვიუ როკი პეტროვიჩთან

ოცი წლის იუგოსლაველმა სამთო-თხილამურემ როკი პეტროვიჩმა მსოფლიო თასის გათამაშებაში სამი ეტაპი მოიგო და სპორტული სამყარო ერთბაშად აალაპარაკა.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ ჟურნალისტებთან? ჰკითხეს მას ბოლო ეტაპზე გამარჯვების შემდეგ.

— რეპორტიორი ვალდებულია ეკითხოს თავისი საქმე. მასთან საუბარი ხათაბალაა, მაგრამ ყურადღებით უნდა იყო. მაგრამ მე მომაჩნია, რომ ის საჭირო საქმეა.

— ცოტათი გასაკვირი კია, რომ თქვენ, ზამთრის სპორტის წარმომადგენელს წელიწადის ყველა დროს ზაფხული გირჩევნიათ?

— ზაფხული მართლაც მიყვარს, უფრო სწორად, მზიანი ამინდი. მე ეზოებსაც და ხალისს მმატებს.

— მაშ ზამთრის სპორტი რატომ აირჩიეთ.

— სამთო-სათხილამურო კლუბი ჩემი სახლის გვერდით იყო და არჩევანიც ამან განაპირობა.

— თქვენ ფრანგული თხილამურებით ასპარეზობთ, შვედი ინგემარ სტენმარკი კი მუდამ იუგოსლავიური მარკის თხილამურებით გამოდის. რამდია საქმე?

— პირველად ფრანგული თხილამურებში ცამეტი წლის ასაკში ვიხმარე და მას მერე შევეჩვიე.

### ასე ფიქრობს ტრამბლე

დღეს იგი 48 წლისაა. ჟან-კლოდ ტრამბლე — პროფესიონალი ჰოკეის ერთ-ერთი „ვარსკვლავი" მთელ მსოფლიოში იცნობს. 1953 წლიდან 1972 წლამდე იგი „მონრეალ კანადიენსში" თამაშობდა, მაგრამ როცა „მსოფლიოს ჰოკეისტთა ასოციაცია" შეიქმნა, „კვებეკ ნორდიკსში" გადავიდა.

— 1974 წელი ჩემს სპორტულ კარიერაში გარდატეხის წელი იყო. ამ წელს პირველად შევხვდი საბჭოთა ჰოკეისტებს და მათი ოსტატობით, თამაშითა და ტექნიკით მოვიხიბლე. საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრა მუდამ სიამოვნებას მანიჭებდა. ამ შეხვედრებში ჩემი მარტო ვსწავლობდი, არამედ ჩემს ოსტატობასაც ვამოწმებდი. ხშირად მეკითხებიან, რა მომწონს ყველაზე მეტად საბჭოთა სპორტსმენების თამაშში. პასუხს დაფიქრების სჭირდება, და მაინც მომაჩნია, რომ რუსების მთავარი ღირსება კოლექტიური თამაშია.

ერთხელ ტრამბლეს ჰკითხეს: ვინ მიაჩნია იდეალურ ჰოკეისტად, მან დაუფიქრებლად უპასუხა: — ხარლამოვი. მაშინ ჟურნალისტმა კითხვა შეუბრუნა: თქვენ გითამაშიათ გორდი ჰოუს, ბობი ორისა და ბობი ჰალის გვერდით. თუ არის ვინმე მათი ღირსეული მემკვიდრე ნხლ-ს ლიგაში? ტრამბლემ ამ შეკითხვასაც ლაკონური პასუხი გასცა — მხოლოდ გრეტცკი. ჟურნალისტებმა ბოლო შეკითხვა ასეთი იყო: დღესდღეობით უძლიერესი რომელი გუნდია და მოთამაშე მიგაჩნიათ? — სსრ კავშირის ნაკრები და გრეტცკი. — იყო პასუხი.

**ეკრანზე და ეთერში**

**ცენტრალური ტელევიზია.** 27 მარტი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2); ჯანმრთელობის — 21.45 (2).

28 მარტი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საერთაშორისო შეჯიბრება ტანვარჯიშში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" პრიზზე — 24.00 (1).

**საკავშირო რადიო.** 27-28 მარტი. ტანვარჯიში — 6.15 და 7.15; სპორტული ტანვარჯიში — 12.00; 27 მარტი — „ვიღაცამ... სპორტს" — 8.40.

**საქართველოს ტელევიზია.** 27 მარტი. სპორტული პროგრამა — 22.40.

28 მარტი. სპორტული პროგრამა — 22.45.

**საქართველოს რადიო.** 27-28 მარტი. დილის ტანვარჯიში — 6.23; სპორტის მოყვარულთათვის — 13.30.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტლოტო

# „სპორტლოტოს" კეთილშობილური მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა სპორტის განვითარებას!"

## 1986 წლიდან შემოღებულია სიახლე:

**„6 45"-დან და „5 36"-დან ლატარიების ერთტირაჟიან ბილეთებთან ერთად იყიდება ამავე ლატარიების ბილეთები, ზედიზედ 10 ტირაჟში მონაწილეობისთვის, დაწყებული იქიდან, რომელიც მითითებულია ბილეთში.**

მსგავსი ბილეთი მოხერხებულია მათთვის, ვინც ტირაჟიდან ტირაჟამდე ერთიდაიგივე ნომრებს შლის, ან რაიმე გარემოების (ავადმყოფობის, შვებულების, მივლინების) გამო არ შეუძლია რეგულარულად შეავსოს ბილეთები ყოველი ტირაჟისთვის.

**თუ ატტირაჟიანი ბილეთი რაიმე მიზეზის გამო დააგვიანებს და ვერ მოხვდება მითითებულ ხაწყის ტირაჟში, იგი მაინც მიიღებს მონაწილეობას 10 ტირაჟში, ოღონდ გათამაშებას დაიწყებს იქიდან, როცა მისი „ბვ" ნაწილი მიიღო სამმართველომ.**

**იგივე წესი ვრცელდება იმ ბილეთებზეც, რომლებშიც სულ არ არის ან გაუგებრადაა მითითებული, ან გადაკეთებულია საწყისი ტირაჟის ნომერი, ან „ბ" და „ვ" ნაწილში სხვადასხვა ტირაჟის ნომრებია აღნიშნული.**

10-ტირაჟიანი ციკლის დროს მოგებები გროვდება პირად ანგარიშში, რომელსაც აწარმოებს სპორტული ლატარიების სამმართველო.

თუ ათივე ტირაჟის შედეგით მოგება 500 მანეთზე მეტი არ არის, იგი გაიცემა შემნახველ სალაროებში ბილეთის „ა" ნაწილის წარდგენის შემდეგ.

500 მანეთზე მეტი ფულადი მოგება გაფორმდება სამმართველოში სპეციალური დავალებით.

**10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებათა განაღდება დაიწყება ბოლო ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ ერთი თვის მანძილზე.**

წლეულს თამაშში მონაწილეობს აგრეთვე ის ბილეთებიც, რომლებშიც შესაბამისად ექვსზე ან ხუთზე მეტი ნომერია გადახაზული, ოღონდ გამოირიცხება ყველაზე დიდი ნომრები.

მაგალითად, თუ ლატარიაში „6 45"-დან შეცდომით გადახაზულია: 8, 12, 14, 29, 36, 40 და 44, ყველაზე დიდი ნომერი 44 — გამოირიცხება. იმ შემთხვევაში თუ ნაკლები ნომრები იქნება გადახაზული, მოგება განისაზღვრება გადახაზული ნომრების რაოდენობის მიხედვით.

## ტირაჟის დღე—კვირა
## მოგება 10 000 მანეთამდე

### წლეულს ცვლილება მოხდა „სპრინტშიც"

გაიზარდა საშუალო ფულად მოგებათა რაოდენობა, კერძოდ, ოცდახუთმანეთიანების. თუ წინათ სპეციალურ სერიაში ასეთი მოგება 530 იყო, ახლა 25-მანეთიანი მოგება გაიზარდა 10014-მდე.

მაქსიმალური ფულადი მოგება— 5000 მანეთი — ერთის ნაცვლად არის ოთხი. 1000-მანეთიანი მოგება ნაცვლად ხუთისა, გახდა რვა. გარდა ამისა, თითოეულ სერიაში თამაშდება 10000-10000 ათი და ხუთმანეთიანი მოგებები. 30000 სამმანეთიანი და 340002 მანეთიანი მოგება. გაუქმდა ბილეთი, რომელიც ბილეთის განმეორებით შეძენის უფლებას იძლეოდა.

25 მანეთამდე ჩათვლით მოგების მიღება შეიძლება იქვე ბილეთის გამსაღებელთან.

მაგრამ „სპრინტში" მთავარი მოგება ავტომანქანაა.

**მანეთად ღირებული ბილეთების სერიაში ახლა თამაშდება 16 ავტომანქანა. 4 „ვოლგა", 4 „ჟიგული-ვაზ-2105", 4 „ჟიგული ვაზ-21013" და 4 ავტომანქანა „ზაპოროჟეც-968-მ".**

ფულადი მოგებები 1000 მანეთი და მეტი, აგრეთვე ყველა ნივთიერი მოგება ფორმდება ცენტრალური, ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებში.

ფულად მოგებას მიიღებთ ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ხოლო ნივთს „პასილტორგი" გააგზავნის თქვენს მიერ აღნიშნულ მისამართზე.

**ამრიგად, თითოეულ სპეციალურ სერიაში, რომელიც ორი მილიონი ბილეთისგან შედგება, 400 ათასზე მეტი ფულადი და ნივთიერი მოგებაა. ეს იმას ნიშნავს რომ მომგებიანია ყოველი მეხუთე ბილეთი.**

მოთამაშეებს ვთხოვთ დაიცვან სისუფთავე და წესრიგი „სპრინტის" გაყიდვის ადგილებში. „უიღბლო" ბილეთები ჩაყარეთ სპეციალურად გამოყოფილ ყუთებში!

## „სპრინტი"- უტირაჟო ლატარია




## დარჩენილი ტირაჟების ნომრები და ჩატარების თარიღები

| | |
|---|---|
| მე-13 ტირაჟი | 20 მარტს |
| მე-14 ტირაჟი | 6 აპრილს |
| მე-15 ტირაჟი | 13 აპრილს |
| მე-16 ტირაჟი | 20 აპრილს |
| მე-17 ტირაჟი | 27 აპრილს |
| მე-18 ტირაჟი | 4 მაისს |
| მე-19 ტირაჟი | 11 მაისს |
| მე-20 ტირაჟი | 18 მაისს |
| 21-ე ტირაჟი | 25 მაისს |
| 22-ე ტირაჟი | 1 ივნისს |
| 23-ე ტირაჟი | 8 ივნისს |
| 24-ე ტირაჟი | 15 ივნისს |
| 25-ე ტირაჟი | 22 ივნისს |
| 26-ე ტირაჟი | 29 ივნისს |
| 27-ე ტირაჟი | 6 ივლისს |
| 28-ე ტირაჟი | 13 ივლისს |
| 29-ე ტირაჟი | 20 ივლისს |
| 30-ე ტირაჟი | 27 ივლისს |
| 31-ე ტირაჟი | 3 აგვისტოს |
| 32-ე ტირაჟი | 10 აგვისტოს |
| 33-ე ტირაჟი | 17 აგვისტოს |
| 34-ე ტირაჟი | 24 აგვისტოს |
| 35-ე ტირაჟი | 31 აგვისტოს |
| 36-ე ტირაჟი | 7 სექტემბერს |
| 37-ე ტირაჟი | 14 სექტემბერს |
| 38-ე ტირაჟი | 21 სექტემბერს |
| 39-ე ტირაჟი | 28 სექტემბერს |
| მე-40 ტირაჟი | 5 ოქტომბერს |

## „სპორტლოტოს" დევიზია: იგებთ თქვენ—იგებს სპორტი!

### გრძელდება „სპორტლოტო—86"-ის კონკურსი

**კონკურსში თამაშდება 40 ავტომანქანა „ჟიგული".**

კონკურსის პირობებით თამაშის მონაწილეები, რომლებიც გამოიცნობენ „6 45-დან ექვს, ხოლო „5 36"-დან ხუთ სახეობას, ფულადი მოგების გარდა მიიღებენ მსუბუქ ავტომანქანა „ჟიგულის" ნაღდ ანგარიშზე ურიგოდ შესაძენ ტალონს.

კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს სსრ-ში შეძენილი ბილეთები, რომელთა „ბვ" ნაწილი ჩაშვებული იქნება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე „სპორტლოტოს" ყუთებში.

ტალონი გაიცემა ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

წლეულს ჩატარებული პირველი ათი ტირაჟის შედეგებით „ჟიგულის" მფლობელები გახდნენ მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნე იური ბასილაშვილი, თბილისის I საავადმყოფოს ექიმი სერგეი ასლანიანი, კავკასიის მინერალური ნედლეულის საცდელმეთოდური პარტიის უფროსი ინჟინერი რაულ კაჭარავა, გალელი ტრაქტორისტი ზურაბ ზაქარაია, თბილისის 26 კომისრის რაიონის საზოგადოებრივი კვების მუშაკი ვალერიან მირიანაშვილი, გაგრის სამშენებლო სამმართველოს მუშა გივი ფოფხაძე, თბილისელი ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი ომარ მანაშეროვი, გარდაბნელი მკერავი ასკერ ილიაზოვი და სხვები.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა კონკურსი გრძელდება. მიიღეთ მასში მონაწილეობა!

### ტირაჟში მონაწილეობის უფლებას კარგავს:

ფანქრით შევსებული ბილეთები;
გადასწორებული ბილეთები;
როცა ბილეთის „ბვ" ნაწილი და ბილეთის ნომერი დაზიანებულია;
„ბ" ან „ვ" ნაწილი შეუვსებელია.

• • •

„სპორტლოტოს" მოყვარულებს შევახსენებთ, რომ პრეტენზიები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტადაა მითითებული „სპორტლოტოს" ყუთის ნომერი და ადგილმდებარეობა, რომელშიც ჩაშვებულია ბილეთის „ბვ" ნაწილი.

ბილეთის შევსებული „ა" ნაწილი აკურატულად მოჭერით და შეინახეთ. „ბვ" ნაწილი გაუცალკევებლად ჩაუშვით „სპორტლოტოს" ყუთში ზუსტად მითითებულ ვადებში.

მკაცრად დაიცავით თამაშის წესები!

დაიხსომეთ, რომ ამ მონაცემების გარეშე პრეტენზიები არ განიხილება!

ჩვენი მისამართი: 380019, თბილისი — 19, ელიავას ქ. № 26. ტელეფონები: 34-53-42, 34-38-00, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07406